

შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის)

მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.

1. სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამის) დანერგვის წარმატებით განხორციელების პროცესის უზრუნველსაყოფად საჭიროა მუდმივი მონიტორინგი, რომლის მიზანია: მოცემული ვითარების შესწავლა, მონაცემების შეგროვება, ანალიზი, საჭიროებების განსაზღვრა, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩარევების განხორციელება. აღნიშნულის განხორციელების მიზნით, იქმნება სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) ჯგუფი (შემდეგში - შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი).
2. შიდა შემოწმება (ვერიფიკაცია) - ხარისხის შემოწმების სისტემა, რომელსაც ახორციელებენ შიდა შემოწმებლები, პროგრამის ფარგლებში და რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ შეფასებები იყოს სწორი, ხოლო შეფასების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება ზუსტი.

მუხლი 2. შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი.

1. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება შევიდეს:
 - ა) კოლეჯის დირექტორის მოადგილე ან/და კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი;
 - ბ) პროგრამის ხელმძღვანელი ან/და წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
 - გ) სასწავლო დარგის მენეჯერები.
2. შიდა ვერიფიკაციის ჯგუფს ჰყავს ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელმაც უნდა განახორციელოს შემდეგი ამოცანები:
 - ა) შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის წევრთა და მოდულის განმახორციელებელი პირების აქტივობების კოორდინირება;
 - ბ) მონიტორინგის პროცესის კითხვარების შეგროვება და ანალიზი;
 - გ) მოხსენების მომზადება.
3. შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ განხორციელებული თითოეული აქტივობა ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს შიდა ვერიფიკაციის ყველა წევრი.

მუხლი 3. შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის ამოცანები.

შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის ამოცანებია:

- ა) შიდა შეფასების ჩატარება, ხარისხის სისტემის უზრუნველყოფა და შეფასება;
- ბ) შემფასებლებისთვის დახმარების გაწევა და სათანადო მიმართულებების უზრუნველყოფა;
- გ) შემფასებლების მუშაობის ხარისხის მონიტორინგი;
- დ) ხარისხის გარე უზრუნველყოფის მოთხოვნების დაკმაყოფილება;

- ე) კითხვარის შეგროვება და შეგროვებული მონაცემების ანალიზი;
- ვ) შეფასების ინსტრუმენტების ავთენტურობის, ვალიდურობის და საიმედოობის შემოწმება;
- ზ) შემფასებლების კონსულტირება: რჩევები შეფასების პროცედურასთან/ინსტრუმენტებთან მტკიცებულებებთან დაკავშირებით;
- თ) შემფასებლების სასწავლო საჭიროებების იდენტიფიცირება;
- ი) პერსონალის განვითარების დაგეგმვა;
- კ) პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების ანალიზი;
- ლ) გარე ვერიფიკაციის ჯგუფთან თანამშრომლობა.

მუხლი 4. შიდა ვერიფიკაციის პროცესი

ეფექტური შიდა შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს სამ ეტაპს:

ეტაპი 1: შეფასებამდელი

ეტაპი 2: შეფასების პროცესი

ეტაპი 3: შეფასების დასრულების შემდეგ.

ეტაპი 1

შეფასების დაწყებამდე შიდა შემოწმებელი (ვერიფიკატორი) ადასტურებს, რომ შემოთავაზებული შეფასების მექანიზმები და რესურსები დამაკმაყოფილებელია და რომ ყველა ქმედება, რომელიც საჭიროა "შეფასების შემდგომი" ეტაპისთვის (ეტაპი 3), განხილულია.

შეფასების ჩატარებამდე იმართება შეხვედრა შესაბამისი საკითხების განხილვის მიზნით.

შეხვედრისას, პროგრამის სრული შეფასების პროცესში, შიდა ვერიფიკატორები და მოდულის მასწავლებლები განიხილავენ და საჭიროების შემთხვევაში ცვლიან შიდა შემოწმების გეგმას. ეს გეგმა მოიცავს შიდა შემოწმებას (ვერიფიკაციას), შერჩევის საკითხსა და შიდა შემოწმებლებთან (ვერიფიკატორებთან) დაგეგმილ შეხვედრებს.

მოდულის/კვალიფიკაციის შემოწმების გეგმა მოიცავს შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) პრიორიტეტებს:

- მასწავლებელი მოდულის შეფასებას პირველად ატარებს თუ არა?
- ბოლო ვიზიტის დროს გარე შემოწმებლებს (ვერიფიკატორებს) ჰქონდათ თუ არა რაიმე შენიშვნა მოდულთან დაკავშირებით;
- რომელ მოდულში იწერება შეფასების ახალი მიდგომა.

შეფასებამდელი ნუსხა და შეფასებამდელი შეხვედრა ისახება ოქმში. ამისათვის გამოიყენება დანართი 1 (იხილეთ დანართი 1). შიდა შემოწმებელი (ვერიფიკატორი) ავსებს შეფასებამდელ ფორმას და ადასტურებს რომ შეფასებამდელი პროცედურები დამაკმაყოფილებელია. ჩანაწერი მოიცავს ინფორმაციას ამგვარი ქმედების შესახებ.

ეტაპი 2

მოდულის შეფასების პროცესში, შიდა შემფასებელი (ვერიფიკატორი) არჩევს შეფასების ნიმუშებს და განიხილავს მასწავლებლების მიერ გაკეთებულ შეფასებებს.

შიდა შემფასებელი (ვერიფიკატორი) აკეთებს ჩანაწერს შერჩევის თითოეული აქტივობისათვის, რომელიც საშუალებას აძლევს შიდა შემოწმებელს (ვერიფიკატორს) უზრუნველყოს მასწავლებლისათვის (შემფასებლისათვის) უკუკავშირი და დეტალურად წერს ყველა საჭირო აქტივობას, რომელსაც ადასტურებს ხელმოწერით. შიდა შემოწმებელი (ვერიფიკატორი) ყველა შიდა შემოწმების შემდეგ ატარებს უკუკავშირის შეხვედრას მასწავლებლებთან (შემფასებელთან), ამისათვის გამოიყენება დანართი 2 (იხილეთ დანართი 2).

ეტაპი 3

შიდა შემმოწმებლებისა და მასწავლებლების მიერ მიმოხილვა შეიძლება ჩატარდეს:

- ა) მოდულის ყველა სწავლის შედეგის შეფასების შემდეგ;
- ბ) გარე შემოწმების (ვერიფიკაციის) ვიზიტის შემდეგ;
- გ) კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ.

შეფასების პროცესის ბოლოს ჩატარებული განხილვა მიზნად ისახავს **შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას**; ასევე იმას, რომ ყველა ხარვეზი, რომელიც შიდა შემმოწმებელმა (ვერიფიკატორმა) გამოავლინა, კვალიფიკაციის მომდევნო შეფასებისთვის იქნას გამოსწორებული. ამგვარი განხილვებისათვის დღის წესრიგი მზადდება წინასწარ; შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) ეფექტურობის ღონისძიებები ყოველთვის გათვალისწინებულია დღის წესრიგში.

შიდა შემმოწმებელი (ვერიფიკატორი) უზრუნველყოფს ყველა გადაწყვეტილებისა და შეთანხმებული აქტივობების ანგარიშში ასახვას. ამისათვის გამოიყენება დანართი 3 (იხილეთ დანართი 3)

მუხლი 5. შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) შერჩევის სტრატეგია.

5.1 შერჩევის განსაზღვრა

შიდა შემოწმებისას (ვერიფიკაციისას) არ განიხილება ყველა სტუდენტის მტკიცებულებები, თუმცა ხდება საკმარისი რაოდენობის ნიმუშების შერჩევა იმისათვის, რომ თითოეული მოდულის ფარგლებში დადგინდეს, თუ რამდენად თანამიმდევრულ შეფასებას აკეთებენ მასწავლებლები და რამდენად იცავენ ისინი სტანდარტებს.

არ მოწმდება ყველა სტუდენტის ნამუშევრი, მაგრამ თუ შიდა შემმოწმებელმა (ვერიფიკატორი) შეფასების პროცესში დააფიქსირა გარკვეულ შეუსაბამობა ან და ხარვეზები სტანდარტის დაცვასთან დაკავშირებით, შესაძლებელია, რომ შეფასებისთვის გაიზარდოს შერჩევის მოცულობა.

მას შემდეგ რაც შიდა შემმოწმებელი (ვერიფიკატორი) გადამოწმების შედეგად აღნიშნავს, რომ, ყველა მოდულის მტკიცებულება სახეზეა, შიდა შემმოწმებელი (ვერიფიკატორი) ახდენს სტუდენტების ნამუშევრების შერჩევას შემდეგ დონეზე:

- მოდულის სწავლის შედეგების შემფასებლებს შორის;
- მოდულის ფარგლებში სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით;
- მოდულის ფარგლებში ყველა ჯგუფში არსებულ სტუდენტებს შორის.

შერჩევისას ასევე გათვალისწინებულია:

- სტუდენტების სქესი (მამრობითი და მდედრობითი), შერჩევაში შედის ორივე გენდერის წარმომადგენელი.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები
- სტუდენტები რომლებსაც "ვერ მიენიჭათ" კვალიფიკაცია

5.2 შერჩევის მინიმალური მოცულობა

შეფასების მტკიცებულებების შერჩევა აკმაყოფილებს მინიმუმ 20%.

შერჩევის მოცულობა დამოკიდებულია ჯგუფში სტუდენტების რაოდენობაზე.

მაგალითად:

1 – 4 სტუდენტი	- შერჩევაში შევა ყველა
5 – 20 სტუდენტი	- მინიმუმ 4
21 სტუდენტი ან მეტი	- მინიმუმ 20%

შიდა შემმოწმებლები (ვერიფიკატორები) ადასტურებენ შეფასების შედეგების სიზუსტეს, რომელიც დაფუძნებულია მათ მიერ შევსებული დანართების (დანართი 1, დანართი 2 და დანართი 3) შედეგებზე. ეს ჩვეულებრივ კეთდება შიდა ვერიფიკატორების მიერ შეფასების ჩანაწერებზე ხელის მოწერის სახით.

მუხლი 6. შიდა შემოწმების დოკუმენტაცია

შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) პროცესის ყოველი ეტაპი დოკუმენტირებულია.

შიდა შემოწმებაში (ვერიფიკაციაში) ყველა ეტაპზე კეთდება ჩანაწერები:

დანართი 1 - სწავლის შედეგის შეფასებამდე შესავსები ფორმა

დანართი 2 - შიდა შემოწმების (ვერიფიკატორის) შეფასების პროცესის ფორმა

დანართი 3 - პროგრამის გუნდის შეხვედრის ჩანაწერი

მუხლი 7. შიდა შემოწმების დოკუმენტაციის შენახვა

შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) ჩანაწერების ფორმების ასლები საიმედოდ არის დაცული კოლეჯში და საჭიროებისამებრ ხელმისაწვდომია აუდიტისა და გარე ვერიფიკატორებისთვის. გარდა ზემოთ აღნიშნული ჩანაწერების ფორმებთან ერთად ასევე შენახულია შიდა შეფასების (ვერიფიკაციის) გეგმა.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები.

ა) შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიის შემუშავების მიზანია, სწორად წარმართოს პროგრამების განვითარებაზე მიმართული საქმიანობა.

ბ) შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი და მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ დირექტორის ბრძანებით.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება:

სწავლის შედეგის შეფასებამდე შესავსები ფორმა (გვ 1)

მოდულის შესახებ ინფორმაცია			
პროგრამის დონე და დასახელება			
მოდულის სახელწოდება			N:
დაწყების თარიღი		დამთავრების თარიღი	
ჯგუფის ნომერი			
ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ			
მასწავლებლის სახელი, გვარი:			
პროგრამის ხელმძღვანელის (კოორდინატორის) სახელი, გვარი:			
შიდა შემოწმებლის (ვერიფიკატორის) სახელი, გვარი:			
სწავლის შედეგის შეფასებამდელი ნუსხა			გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა
			დიახ
1. წინა პროგრამის სწავლებისთვის შიდა და გარე შემოწმების (ვერფიკაციის) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია			
2. შეფასებისათვის საჭირო რესურსები (მათ შორის სასწავლო მასალა) ხელმისაწვდომია			
3. მტკიცებულებების შენახვის სისტემა არსებობს			
4. შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) გეგმა მომზადებულია და მოიცავს შერჩევას და შეხვედრებს			
5. შეფასების ვალიდური ინსტრუმენტები ხელმისაწვდომია			
6. გამეორებით შეფასების პროცედურები გაწერილია.			
** თუ მონიშნულია სვეტი „არა“, საჭიროა სამოქმედო გეგმის შევსება გვ 2-ზე			

შეფასების ჩატარებამდე გასატარებელი ღონისძიებები				
პუნქტი	აქტივობა	პასუხისმგებელი პირი		დასრულების თარიღი
შიდა ვერიფიკატორი				თარიღი
მხარდაჭერა / რჩევა		დიახ	არა	
დეტალები				
აქტივობის ჩანაწერი				
კომენტარები				
აქტივობის დასრულების თარიღი				
შიდა შემოწმებელი (ვერიფიკატორი)				თარიღი
ხარისხის მართვის მენეჯერი				თარიღი
დამატებითი ღონისძიებები / რეკომენდაციები				
შიდა შემოწმებელი (ვერიფიკატორი)		თარიღი		

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება: _____

შიდა შემოწმება (ვერიფიკაცია)

შიდა შემოწმებლის (ვერიფიკატორის) შეფასების პროცესის ფორმა (გვ1)

კვალიფიკაციების შესახებ ინფორმაცია			
პროგრამის სახელწოდება		კოდი	
მოდულების შესახებ ინფორმაცია			
მოდულის სახელწოდება		კოდი	
დაწყების თარიღი		დასრულების თარიღი	
სტუდენტების რ-ა		შერჩევის ზომა	
მონაცემები თანამშრომლების შესახებ			
მასწავლებლის სახელი, გვარი:			
შიდა შემოწმებლის (ვერიფიკატორი) სახელი, გვარი:			
ჩანაწერი შერჩევის შესახებ (გამოკითხვა; პროდუქტის/ შედეგი; პროცესზე დაკვირვება)			
სტუდენტი	სწავლის შედეგი/შედეგები	კომენტარები (სტუდენტის ან ზოგადი)	
1.			
2.			
3.			
4.			
5.			
6.			
7.			
8.			
შიდა შემოწმებლის (ვერიფიკატორი) ანგარიში (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა)			დიახ
1. გამოყენებულია შეფასების შემოწმებული (ვერიფიცირებული) ინსტრუმენტები			არა *
2. სტუდენტების მიღწევების ყველა მტკიცებულება ხელმისაწვდომია			
3. შემფასებლის დასკვნები სამართლიანია და თანმიმდევრული			
4. სტუდენტის შეფასების ჩანაწერები სწორია/ზუსტია			

*თუ მონიშნულია სვეტი „არა“, საჭიროა სამოქმედო გეგმის შევსება - გვ 2

შიდა შემოწმება:

თარიღი:

ხარისხის მართვის მენეჯერი:

შიდა შემოწმების (ვერიფიკატორი) შეფასების პროცესის ფორმა

აქტივობა რომელიც უნდა განხორციელდეს მოდულის დასრულებამდე			
პუნქტი	აქტივობა	პასუხისმგებელი პირი	დასრულების თარიღი
		(მასწავლებელი)	
შიდა ვერიფიკატორი			თარიღი
მხარდაჭერა / რჩევა		დიახ	არა
დეტალები			
აქტივობის ჩანაწერი			
კომენტარები			
აქტივობის დასრულების თარიღი			
შიდა ვერიფიკატორი			თარიღი
ხარისხის მართვის მენეჯერი			თარიღი
დამატებითი ღონისძიებები / რეკომენდაციები			

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება: _____

პროგრამის გუნდის შეხვედრის ჩანაწერი

შეხვედრის თარიღი:			
ინფორმაცია პროგრამის შესახებ			
პროგრამის დონე და სახელწოდება			
დაწყების თარიღი:		დასრულების თარიღი:	
ჯგუფების რაოდენობა:		ჯგუფების ნომრები:	
მონაცემები თანამშრომლების შესახებ			
პროგრამის გუნდის ხელმძღვანელი/მენეჯერი:			
პროგრამის გუნდის წევრები:			
შეხვედრის შესახებ ჩანაწერი/ოქმი			
განხილული საკითხები:	შეთანხმებული აქტივობები	პასუხისმგებელი პირი	დასრულების თარიღი
პროგრამის ხელმძღვანელი	ჯგუფის		თარიღი